კრებალოს თავზე

ლეო ძია კრებალოში 78-ში ჩამოვიდა. ჯარიდან დაბრუნებული, ცოტა ხანს თბილისში აყურყუტეს, იქნებ უთვალთვალებდნენ კიდეც, თვითონაც ეჭვობდა, ვაითუ გაიგეს , ბერლინის მეორე მხარეს რომ გავიპარე და მაკვირდებიან , ჯაშუში ხომ არ არისო. თვითონ უფრო დიდი წარმოდგენა ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლებაზე, ვიდრე თავად ხელისუფლებას საკუთარ თავზე და, მით უმეტეს, ლეო ძიაზე.

- პროფესია? - ჰკითხა კომისარმა, როცა ბოლოჯერ დაიბარეს.

- ინჟინერ-ელექტრიკოსი - ამ კაცს უკვე მეათედ უმეორებდა, გაღიზიანება მაინც არ შეიტყო. რამდენჯერაც მკითხავთ, იმდენჯერ გიპასუხებთ და არ დავიღლებიო. კომისარმაც ალმაცერად ახედა, თითქოს გამოჭერა უნდოდა: ერთხელ მაინც სხვა რამე წამოსცდესო.

შემდეგ გაამწესეს კრებალოში. ერთი პატარა სოფელი იყო იმერეთში, პატარა ხეობასთან გაშენებული. თავად ხეობაზე კი უშველებელი ჰიდროელექტროსადგური იდგა. ჭიათურას ამარაგებდა დენით, კრებალოსაც ჰყოფნიდა. ლეოც, როგორც ერთი ზედმეტი ჭანჭიკი, აიღეს და ამ ელექტრო სადგურს მიაკერეს. ვერც უარს იტყოდა და ვერც ვერაფერს გააწყობდა. ცოლმა იუარა: მე იქ ვერ ვიცხოვრებო და შვილთან ერთად თბილისში დარჩა. ამან ძალიან გააწვალა ლეო ძია, შაბათს დილაობით დგებოდა, რომ შუადღეს ყვითელი პაზიკით თბილისში ჩამოჯანჯღარებულიყო და კვირას უკან დაბრუნებულიყო. რაც შვილი გაუჩნდათ, ცოლს მისი დარდი აღარ ჰქონდა.

- ეხლა ხომ თავისუფალი ხარ და სულ სახლში იქნები? - ჯარიდან ჩამოსულს ჰკითხა ათი წლის პეტრემ, როცა მამამ ხელში აიყვანა. გულში ისე მაგრად ჩაიკრა, დედამისს შეეშინდა კიდეც.

- ბავშვი არ დაახრჩო, ბიჭო! - შეევედრა ლელა.

- ხომ თავისუფალი ხარ? - ისევ შეეკითხა მამას, როცა მიწაზე დასვეს.

- კი... - ცალყბად უპასუხა ლეომ, - თუმცა, სანამ საბჭოეთი არსებობს, მამა, ჩვენ თავისუფლები ვერასდროს ვიქნებით, - თვალწინ კვლავაც განათებული ბერლინი ედგა. დასავლეთ ბერლინი. ცოლმა ალმაცერად გახედა, ბავშვს რაებს ეუბნები ან გარშემო ვინმე არ გვისმენდესო და თვალი მოავლო რკინიგზის სადგურს.

- ოღონდ ეგ არავისთან არ თქვა, ბიჭო! - დაამატა ბოლოს და პეტრეც მორჩილად გაინაბა, იცოდა რომ მამას ამ სიტყვების გამო გაუჯავრდებოდნენ.

ლელა თბილისში გაიცნო, მოზარდობისას. 17 წლის იყო, როცა ქუჩა-ქუჩა დადიოდა და ყალთაბანდობდა, მაგარ ბიჭებთან ერთად კიროვის პარკში სვამდა ხოლმე გვიანობამდე, ხულიგნობდნენ და მილიციელებს ემალებოდნენ. ლელას, როგორც ბევრ სხვა მის თანატოლ გოგოს, თავქარიანი ბიჭებისკენ გაურბოდა გონება. ერთხელ თავის დაქალთან ერთად შეხვდა ლეოს, მარტომ ვერ გაბედა მაინც. ვითომ მისეირნობდნენ გოგონები და შემთხვევით ჩაიარეს „ცუდი ბიჭების“ ბირჟასთან. ცოტა ილაპარაკეს, ლეოს ძმაკაცებმა, რომ მიხვდნენ , რაშიც იყო საქმე, რიგრიგობით და უხმოდ დატოვეს მარტონი. ორნი ბევრს საუბრობდნენ ერთად, მერე ლეომ პირველი სიგარეტიც კი მოაწევინა. ამის გამო დაქალი მოგვიანებით ძალიან ეჩხუბა და მწარედაც დატუქსა, მაგრამ სულ ტყუილად - მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და მალევე იქორწინეს. ლელას თავიდან ძალიან გაუხარდა, რომ ლეო „მოშინაურდა“ - უსაქმურ ძმაკაცებს ჩამოსცილდა, ტექნიკურშიც კი მოაწყო მამამისმა. ელექტრო ინჟინერია ძალიან უჭირდა, ბევრს მეცადინეობდა, წიგნებში იჯდა და დროდადრო იძახდა: „არა, ვერ გავიგე ვერაფერი! “ - და ხელახლა იწყებდა ამოცანის ამოხსნას.

დროთა განმავლობაში, რაღაც შეიცვალა, მათი სიყვარული თითქოს უჩუმრად გაიპარა. კიროვის ბირჟაზე, შებინდებისას, პირველი სიგარეტის მოწევა და სხვა ჩხვლეტია შეგრძნებები დაბლაგვდა. დაამთავრა თუ არა ტექნიკური, ჯარში ჩაეწერა. რადგან შეწუხდა თავისი აკადემიური ცხოვრებით, ცოტა ხანს რაღაც ნამდვილი და კაცური საქმის კეთება მოუნდა. იარაღის სროლას ვისწავლიო, ფიქრობდა თავისთვის, ისევ ოცდაორი წლის იყო და ის ჩხვლეტია შეგრძნებები კვლავ სწყუროდა. ტექნიკურში გერმანულშიც გაიწაფა, კარგი ქულები აიღო. თავად კი ეგონა, გერმანულის არაფერი ვიციო, ცხოვრებაში გერმანელს არ დალაპარაკებია, მაგრამ მაღალი ნიშანი მიიღო. იცოდა, ბერლინში რომც გაეშვათ, იქაც არავინ დაალაპარაკებდა გერმანელთან

ამასობაში პეტრეც გაჩნდა, ბავშვი და დედა დღედაღამ ერთმანეთზე იყვნენ მიწებებული. ამიტომ ჯარში მსახურებით, იფიქრა, თავს გავირთობო. საბჭოთა ჯარი გასართობი კი ნამდვილად არ აღმოჩნდა. ბროშურებზე და გაზეთებში სულ სხვა სურათი იხატებოდა, რეალურად კი ველურებივით ცხოვრობდნენ. ერთი-ორი თვე გაძლო, „მალადოი ბაეცის“ კურსი გაიარა და მაშინვე იმაზე დაიწყო ფიქრი: იქნებ სიმამრმა გამომათრიოს აქედანო. თუმცა, შეფასება მოუვიდა, აცნობეს რომ ბერლინში უპირებდნენ გამწესებას, ამიტომ სიმამრისთვის მისაწერი წერილი დაკუჭა და მოისროლა.

ბერლინში პოსტზე დგომა უფრო მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე ყაზარმაში გვემა. საკვებიც შედარებით წესიერი ჰქონდათ, საქმე - თითქმის არაფერი. პერიმეტრის კონტროლი გამოცდილ ჯარისკაცებს ევალათ, ლეო და მისნაირები უბრალოდ კლასგარეშე დავალებაზე იყვნენ. საღამოობით კოშკზე იჯდა ხოლმე და იყურებოდა აქეთ-იქით. ბერლინს ათვალიერებდა ზემოდან: აღმოსავლეთ-დასავლეთის გამყოფ ხაზს. ერთი შეხედვით დიდი სხვაობა არც იყო, მხოლოდ საღამოობით დასავლეთ ბერლინი ბზინვარებას იწყებდა. თითქოს ორთქლი ასდისო, სხვადასხვა ფერის ნისლი ედებოდა ქუჩებსა და სახურავებს. რამდენჯერმე ისიც კი იფიქრა, აღლუმი ხომ არ აქვთ ან რაიმე ღონისძიება და იმის კვამლია შემორჩენილიო.

ბაზაზე ერთი კაპიტანი ქართველი იყო, მაგრამ ევგენი ერქვა. რამდენიმე დღე აკვირდებოდა და შენიშნა , როგორ აშტერდებოდა ხოლმე ლეო დასავლეთს.

- გინდა გაგიყვანო? - ლეომ ვერც გაიგო საგუშაგოზე კაპიტნის ამოსვლა.

- სად გამიყვანთ? - გაოცებულს სამხედრო სალამიც კი არ მიუცია.

- იქითა ბერლინში, - უპასუხა ევგენიმ.

ძალიან შეეშინდა ლეოს. თავზარი დაეცა. მისი ზემდგომი, ნამდვილი კაპიტანი, ისეთ რამეს სთავაზობდა, რაც სამშობლოს ღალატს უდრიდა. იქნებ დავალებაა რამე? რას ჰქვია მინდა? ჩემს მინდაზე როდის აქეთაა? უარს ვეტყვი - დავიღუპები, დავთანხმდები და ღალატში ჩამეთვლება. ამ აზრებით აფორიაქებული, გახევებული იდგა და კაპიტან ევგენის თვალს ვერ აშორებდა. იმას კი ეღიმებოდა:

- ნუ გეშინია. უცბად გავალთ და გამოვალთ. მე ვიცი გზა. ამაღამ სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაიცვი და მზად იყავი, მოგაკითხავ.

მოაკითხა კიდეც. ლეოს წამითაც არ მოუხუჭავს თვალი. სამოქალაქო ტანსაცმელი არ ჰქონდა, მარტო ჯარის შავზოლებიანი მაისური და ამოტრიალებული კამუფლაჟიანი შარვალი. პერიმეტრი გადაკვეთეს, ევგენიმ კოშკურაზე ვიღაცას რაღაც ანიშნა, იმან - სხვას და ჯარისკაცები იქით პერმიეტრზე გადაწყვილდნენ. კედელზე გავლებული ჩაჭრილი მავთულხლართი კაპიტანმა თაროზე შემოდებული ყვავილების ლარნაკივით ფრთხილად ჩამოიღო და მიწაზე დადო. გადაძვრნენ. ცოტა ირბინეს და ერთ-ერთი ჩიხის ღიობში, კედლის ჭრილში შეიპარნენ.

სრული სიჩუმიდან, სადაც ერთმანეთის სუნთქვაც კი ცოცხლად ესმოდათ, უცბად ფერად და მოძრავ ხმაურში ამოყვეს თავი. ევგენიმ ჩიხის კიდესთან გააჩერა და ანიშნა, ამის იქით არ წახვიდეო. ლეო კი ნეონის ბრჭყვიალს ვერ წყვეტდა თვალებს, იისფრად, ლურჯად, მწვანედ ციმციმებდა და ციალებდა მთელი ქუჩა. აი, რა ყოფილა ის კვამლი, რომლის წარმოშობაც ვერაფრით გაეგო საგუშაგოზე მდგარს. დახლებზე იყიდებოდა აუარება ხილი, ზოგიც ისეთი, საერთოდ რომ არ ენახა: ბანანი, ავოკადო, მანგო, კივი! მეორე მხარეს ფერადი ჟურნალები იყიდებოდა და ნამდვილი ყავის სუნი მოდიოდა საიდანღაც. ლამაზი მანქანები თითქმის უხმოდ მიმოდიოდნენ ქუჩაში და პრიალით ისხლეტდნენ კაშკაშა არემარეს. ხალხი იცინოდა, გამვლელები იღიმოდნენ, ყველას სხვადასხვანაირად და ლამაზად ეცვა, როგორც საბჭოთა ფილმებში ან იქნებ უკეთესადაც კი. სულ ხუთი წუთით, რაღაც ძალიან ეგზოტიკური და იმპორტული ფილმის კადრში შეაბიჯა. მერე კი ევგენიმ მხარზე დაადო ხელი და უთხრა:

- მორჩა, წავედით!

- მამა, ხომ თავისუფალი ხარ? - ჯარიდან ჩამოსულს, რკინიგზის სადგურშივე ეკითხებოდა შვილი.

***

კრებალო ძველებური სოფელი იყო. საბჭოთა ინდუსტრიამ მხოლოდ ელექტრო- სადგური დარგო, იქაურობა მოაასფალტა, ავტობუსის გაჩერება დაადგინა და წავიდა. ხეობაზე ჩამოწიკწიკებული სახლები, ზოგი ერთმანეთს ეყრდნობოდა, ზოგიც თავად ხეობას. ზემოთ კი , ხასხასა ტყეში, კანტიკუნტად იდგა პატარა სახლები.

ელექტროსადგური ბეტონის ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. ნაგებობა თავის უშველებელ ტურბინებს ისე დაჰყურებდა, როგორც მშობლები ახალშობილს. ფოლადის გოლიათი ბუნების დინებას კაცობრიობის ნებაზე ღუნავდა. შესასვლელში გამოკრული იყო დიდი ლითონის პოსტერი წარწერით: “ხალხის ენერგია.“ მაგრამ ლეომ იცოდა, რომ ხალხისა არც არაფერი არ იყო. ყველაფერი ჭიათურაში მიდიოდა, ოღონდ ჭიათურელებისაც არ იყო. ყველაფერი მაღაროში მიდიოდა, და არც ის მაღარო იყო ჭიათურელებისა. კრებალოში ერთი ხაზი იყო გამოყვანილი და თითო ოჯახს თითო ნათურის ანთება შეეძლო, ისიც საღამოობით. ზოგს რადიოს ჩართვა ერჩივნა ნათურას. სადგური კი დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო ხშირად ითიშებოდა.

კრებალოელები, ისევე როგორც ბევრი სხვა, თავიანთ სამსახურს ძარცვავდნენ. თუკი სადგურიდან რაიმეს მოხსნა და წაღება შეიძლებოდა, ყველაფერი გაჰქონდათ. 80-იანებში უმატეს პარვას. ერთხელ ლეო გაუბრაზდა კიდეც თანამშრომლებს, როცა ძალიან მნიშვნელოვან სათადარიგო დეტალს დაავლეს ხელი. უფროსმა რომ ჰკითხა: რაზე იჩხუბეო, თავი მოისაწყლა და უპასუხა, მთავარი ტურბინის ფრთა რომ გაფუჭდეს, სათადარიგო ნაწილის გამოგზავნას თვეები დასჭირდებაო. უფროსმაც: კარგი, კარგიო და დამშვიდებული გაუშვა სახლში. მეორე დღეს სათადარიგო დეტალი აღარ დახვედრია.

ლეომაც თავი მიანება სამსახურში სიარულს. „რუბილნიკს“ თანამშრომელი სწევდა ხოლმე. 80-იანების ბოლო უფრო თბილისში გაატარა, პეტრეს მიხედა , რომ ქუჩაში არ ეყიალა. სიმამრი უკვე პენსიაზე გადიოდა და უთხრა, ბოლო საქმე, რის გაკეთებაც შემიძლია ისაა, რომ კრებალოს სადგურის მთავარ ინჟინრად დაგნიშნავ, შენ იქნები შენი თავის ბატონ-პატრონი, ამხელა კაცს ვიღაცა როდემდე უნდა გედგეს თავზეო. ასეც ქნა. სიმამრი რომ გარდაიცვალა, კრებალოში დაკრძალეს. ყველა მოვიდა, ყველამ პატივი მიაგო, ყველამ კარგად მოიგონა ლეოს სიმამრი და ხაზი გაუსვა, რამხელა პატივს სცემდნენ ამ კაცს. მისი ვალები, რაც ჰქონდათ, არავის კაპიკი არ დაუბრუნებია.

პეტრე მოსკოვში წავიდა სასწავლებლად. ცოლ-ქმარი თბილისში დარჩა. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, მაგრამ ძალიან გაუცხოვდნენ. ლეომ ბევრი იფიქრა, ბევრი იძია, მძინარე ცოლისკენ ბევრჯერ წაიღო

ხელი მოსაფერებლად, და მერე ისევ გადმობრუნდა და გაიფიქრა: „არა, ვერ გავიგე ვერაფერი.“ შვილმა მოსკოვიდან „სოლნეჩნი დომ“ გამოუგზავნა, ძალზედ იშვიათი წიგნი, რომელიც, ფაქტიურად, საბჭოთა კავშირში არ იშოვებოდა. წიგნში ყველაფერი ეწერა მზის ენერგიასა და მისი გარდაქმნის მეთოდებზე, პანელების გამოყენებასა და მათ ფუნქციებზე. თუმცა, სანამ კომუნისტები მზის პანელების ააწყობდნენ, საბჭოთა კავშირი ჩამოეშალათ, ბერლინის კედელიც ზედ მიჰყვა და სამოქალაქო ომში გახვეული საქართველოც. პეტრე მაშინვე დაბრუნდა და აფხაზეთში წავიდა საომრად. იქიდან მოიწერა, ცოტაც, და გავთავისუფლდებითო. სამწუხაროდ, ქვეყანაც და ცხოვრებაც უკან-უკან წავიდა, მხოლოდ პეტრე არ დაბრუნებულა უკან.

ამან ლელა მოჩვენებად აქცია, ლეოს ცხოვრებიდან მთლად გაუჩინარდა. იქ იყო, თბილისში, მაგრამ სადღაც სხვაგან. კრებალოში მხოლოდ შვილის დაკრძალვაზე ჩამვიდა, და როგორც კი პეტრე დაკრძალეს და ისე წავიდა, აღარც დაბრუნებულა. მეუღლეს ერთხელ ჩახედა თვალებში და ასე აგრძნობინა ის უსაზღვრო ტკივილი, რომელსაც სულში ორივენი ატარებდნენ და რაც არასოდეს მოუშუშდებოდათ.

ლეომ სადგურზე განაგრძო მუშაობა. მიდიოდა, მოდიოდა, ხან არც მოდიოდა, იქ ათენებდა და აღამებდა. სვამდა სოფლელებთან ერთად. კვლავაც მთავარ ინჟინრად ითვლებოდა, თუმცა ყველა ტურბინა და მთელი სადგური გათიშული იყო. როცა ფხიზლობდა, ხელოსნად მუშაობდა. აკეთებდა გენერატორებს, სახურავებს, ძველ ტრაქტორებს, ტელევიზორებს. ზოგჯერ ფულსაც ვერ უხდიდნენ, ლობიოს მისცემდნენ ხოლმე, ფქვილს, შაქარს და ასე ისტუმრებდნენ. ლეოც არ ჩიოდა.

- რასაც გადამიხდით, იმას ავიღებ. რასაც მომცემთ, იმას წავიღებ.

ომი დასრულდა, ახალი ხელისუფლების გუბერნატორმა სადგური გაუქმებულად სცნო და ლეო სამსახურიდან გაათავისუფლა. წერილი მიუვიდა, ერთი თვის დაგვიანებით, შიგნით ეწერა „თქვენ გათავისუფლებული ხართ სამსახურიდან.“ ბევრი რამისგან უნდოდა ლეოს გათავისუფლება, იქნებ ეს დასაწყისი კარგიც ყოფილიყო.

90-იანები რომ გასრულდა, კიდევ ახალი მთავრობა მოვიდა, ახალი დაპირებები გაიცა. საიდანღაც მოიტანეს დეტალები და ლეოს დახმარებით სადგური აღადგინეს კიდეც. სოფელი ისევ აინთო. ოღონდ მერე ლეო ისევ გაათავისუფლეს და სადგური გასაყიდად გაიტანეს. ძალიან ძვირი ჯდება მისი მუშაობა და ქვეყანას ამის ფინანსები არა აქვსო. ინვესტორი უნდა მოეძიებინათ. ვერ მოიძიეს. სადგური დროდადრო ისევ ფუჭდებოდა და ლეოს დახმარებით ისევ კეთდებოდა, ესეც ისე, უფასპატიოდ. ახალ შკოდაში ჩასვენებულმა პოლიციის უფროსმა ლეოს ისიც კი უთხრა, ბინაში დენი ხომ შემოგდის, მეტი რა გასამრჯელო გინდა, რით ვერ გაძეხიო. მანქანიდან გადმოუსვლელად მსუქანი ხელი ძლივს გაფშიკა და მერე ღაბაბიდან ჩამოსული ოფლი მოიწმინდა.

გავიდა კიდევ ათი წელი, ისევ ახალი მთავრობა მოვიდა, ოღონდ გუბერნატორი იგივე დარჩა, ინვესტორი არ მოიძებნა და ტელევიზორში სადგურის დაშლა გამოაცხადეს.

- დაიშლება და გაიყიდება. კრებალოს კი ჭიათურიდან მივაწვდით დენს - განაცხადეს. „ჭიათურას ჩვენ ვაწვდიდით, და იმათ ჩვენ რა უნდა მოგვაწოდონ?“ - გაიფიქრა ლეომ. იმავე წუთს ახალი რეპორტაჟი ჩაირთო და ოცი წუთი ჟურნალისტები იმაზე საუბრობდნენ, რომ კრებალოს მიწაში მანგანუმია აღმოჩენილი და სადგურის დაშლა სწორედ ამიტომ მოინდომეს. მანგანუმის მოპოვება რასაც ნიშნავდა, მშვენივრად იცოდა ლეომ. მიწის დახეთქვა, სახლების დანგრევა, კრებალოს დაცლა და გაქრობა. სიუჟეტის ბოლოს, ჟურნალისტმა ისიც განაცხადა, რომ ეს არხის უკანასკნელი გადაცემა იყო და ეთერი ამით სამუდამოდ სრულდებოდა. ახალი მთავრობის ბრძანება იყო: ....

Სიბნელე!

აღმოსავლეთ ბერლინი გაახსენდა. სადღაც თითქოს ისევ კედლის შენება დაიწყეს. ოღონდ გერმანიაში არა, აქ, კრებალოში, სადაც დენი მალევე ჩაქრა. ჩაქრა და აღარ მოსულა. გავიდა დღეები, კვირები. ისევ აღმუვლდნენ 90-იანების გენერატორები აქა-იქ და ხეობის დინებას მათი გრუხუნი შეენარცხა.

სადგური სამუდამოდ გაჩერდა, წყალი დაიწმინდა, დასაშლელად არავინ მოსულა, და გაჩერდა თუ არა, ხეობაც გაიწმინდა. თევზებიც კი გაჩნდნენ წყალში. ახალგაზრდული ჯგუფები ამოდიოდნენ ხოლმე კრებალოში: სალაშქროდ, სათევზაოდ, სანადიროდ, დასათვალიერებლად. თბილისელ ბიჭებს გამოელაპარაკა ლეო, სადგურის დათვალიერება შესთავაზა. კრებალოში ბუნებისა და იმ სადგურის მეტი სანახავი არაფერი იყო. ბევრი ფოტო გადაიღეს საბჭოთა ნაგებობაში და ბოლოს ერთ-ერთმა უთხრა:

- მზის პანელები რომ იყიდოთ?

- მაგას ფული უნდა, შვილო.

- ჩემ მეგობარს არასამთავრობო ჰქონდა, იქ ექნებათ ბევრი. მთავრობამ დახურა, ბრძანება იყო...

Სიბნელე!

- ...ვეტყვი, იქნებ რამდენიმე მაინც გამოგზავნონ.

ლეო შეფიქრიანდა, შვილის ნაჩუქარი „სოლნეჩნი დომი“ გაახსენდა. სახლში დაბრუნდა თუ არა, თაროდან გადმოიღო. „მამაჩემს - სინათლისა და თავისუფლების კაცს, სიყვარულით, პეტრესგან.“ მთელი ღამე იმ წიგნს ეჯდა, კი ძველი წიგნი იყო, მაგრამ სულ არაფერს - სჯობდა. მეორე დილით მართლაც დაურეკა თბილისელმა ბიჭმა, მარშუტკა მოდის და კრებალოში თუ დახვდებით , ამოგიტანენ პანელებსო. ლეომ არ იცოდა, რა ეთქვა, რა მადლობა გადაეხადა, ან იქნებ ბოდიში მოეხადა. საბჭოთა ქართველებმა ბევრი ლაპარაკი იცოდნენ, ბევრ რამეს დაგპირდებოდნენ, ძმობას შემოგფიცებდნენ, და სანამ სიტყვას დაასრულებდნენ, უკვე დავიწყებული ჰქონდათ ყველაფერი. ამ ბიჭმა კი : მართლა ვაგზავნი პანელებსო.

- შვილო, შენი სახელი გამახსენე... - როგორღაც ამოღერღა ბოლოს.

- პეტრე.

***

პანელები ჩამოიტანეს, პატარა ეზოში ერთმანეთზე დაალაგეს, ლეო ძიას ხელი ჩამოართვეს და წავიდნენ. ყუთებში ინსტრუქციაც კი იყო, ოღონდ ინგლისურად, თუმცა ნახაზებს B2-ის დონე არ სჭირდებოდა. თავიდან ცოტა დაბნეული ხსნიდა ყუთებს, ამოჰქონდა გაყვანილობა, ნაწილები, ზუსტად არც იცოდა, რას აკეთებდა, მაგრამ თანდათან ეზოშიცა და გონებაშიც ყველაფერი თავის ადგილას ლაგდებოდა. ხეობაში რომ გადაიხედა, წითელფორმიანი და ჩაფხუტიანი ხალხი დაინახა, სადგურისკენ მიდიოდნენ, დანარჩენები ლენტებს ავლებდნენ, ჩანდა, დემონტაჟი უკვე იწყებოდა. კრებალო სამუდამოდ უნდა ჩაექროთ.

ნაშუადღევს ლეო ძიას ეზო სულ კაბელებითა და გაყვანილობით იყო დაქსელილი, პრიალა პანელებმა ჭაობის მცენარესავით გადაფესვეს ალაგი. ეზოსთან ბავშვები მოგროვდნენ, უყურებდნენ, ეძახდნენ, რაღაცებს ეკითხებოდნენ. ისიც საქმეში გართული, დროდადრო ახერხებდა მათთვის პასუხი გაეცა. საღამო ხანს უკვე ყველაფერი წესრიგში იყო, დაღლილი ლეო ჰამაკში ჩაესვენა და ჩაეძინა. მეორე დღის შუადღემდე არ გაღვიძებია, ესიზმრებოდა: ბერლინი, ყაზარმა, კედელი, გამყოფი პერიმეტრი. სიზმარში

ევგენისთან ერთად ისევ კოშკურაზე იდგა, ოღონდ ახლა თავად იყო კაპიტანი, ან მაიორი, ჩინით და ასაკითაც თავის მეგობარზე უფროსი. ევგენი კი ისევ ისეთი დარჩენილიყო.

- ევგენი, ერთი ეს მითხარი - მეგობრულად გაუღიმა ჯარისკაცს - იქითა ბერლინელებიც გადმოდიან ხოლმე ჩუმად აქაურობის სანხავად?

- არა - თავჩაქინდრული იჯდა ევგენი - აქ რაა სანახავი?..

ლეო ბავშვების შემახილებმა შეაფხიზლა, მერე სადგურიდან წამოსული ხმაურიც მოესმა. მზე პირდაპირ ზენიტში აწვერილიყო და კრებალოს ფოთლებშიც კი ატანდა მისი სიმხურვალე. სოფელი გატრუნულიყო. ძროხები საძოვარზე, დამფრთხალი მეთევზეები სახლებში, სოფლის ბირჟა დაცლილი, მარტო ბავშვები დარბოდნენ გარეთ. ზაფხულის ზუსტად ისეთი დღე იდგა, დიდები აჩრდილებივით რომ ქრებიან და მთელი სოფელი ბავშვებს ეკუთვნით. და ახლა ყველა მათგანს ლეო ძიას ეზოში მოეყარა თავი.

- როდის აინთება? - დაუძახა ერთმა.

- საღამოს...

ლეომ უკუგარდამქმნელი შეამოწმა, კაბელებს ხელახლა დაუყვა, დარწმუნდა , რომ ყველაფერი სწორად იყო შეერთებული: პანელები, კონექტორები, ინვერტორები, ტრეკერები. ყველაფერი თავისდაუნებურად ააწყო და ახლა შიშობდა: რაიმე შეცდომა ხომ არ დავუშვიო. უნდა ეფრთხილა, ხანძარსაშიშროება ნამდვილად არსებობდა, ყველაზე დასანანი ამ ძვირფასი აპარატურის დაწვა იქნებოდა. მერე „სოლნეჩნი დომიც“ გადმოიღო ისევ და გადაათვალიერა, თან მოყოლილი ინგლისური ინსტრუქციებიც გვერდზე მიუდო, ერთმანეთს შეადარა და დღის ბოლოს დარწმუნდა, ყველაფერი წესრიგში ჰქონდა.

მზე რომ გადაიხარა, ჰიდროელექტრო სადგურიდან წამოსულმა ხმაურმაც იმატა. მთელი დღე დეტალები გაჰქონდათ, სოფლამდე მეტალისა და თუნუქების ხმა აღწევდა მხოლოდ. თურმე დემონტაჟი ლითონების გატანას ნიშნავდა. უსახური კედლები და ნაგებობა ხელუხლებელი დატოვეს. ლეომ თავისი სახლის მრიცხველიდან ყველაფერი მზის პანელებზე გადააერთა და ერთი ღილაკის დაჭერით მისი მოკრძალებული სახლი კრებალოს თავზე ვარსკვლავივით აკაშკაშდა. რამდენიმე ოჯახში ტანჯული გენერატორების ხმა მბჟუტავ ნათურებთან ერთად ჩანავლდა და მხოლოდ ბავშვების შემახილები ისმოდა მთელ სოფელში: „აანთო! აანთო! ლეო ძიამ აანთო!“

ლეო კი თავისთვის იჯდა ეზოში, ნიავით მოტანილ ცივ ჰაერს სუნთქავდა ღრმად, თვალები დაეხუჭა და ისევ ბერლინური შეგრძნებები ჩხვლეტდნენ: ნახევარ კილომეტრში უსახური კედლები იდგა- ძველისა და დესპოტურის ნაშიერი. თავად კი კედლის მეორე მხარეს, არა ბერლინის, არამედ თავის მიერ მოპოვებულ ნათელში იჯდა გატრუნული. ისევ ჩათვლიმა. დაესიზმრა: როგორ გაიყვანდა სინათლეს მეზობლებთან, შემდეგ კრებალოს მაღაზიასთან, მთელ სოფელთან და როგორ გამთლიანდებოდა კრებალო თავისით, დამოუკიდებლად, უსახურებისა და ჩინიანების გარეშე.

- ახლა თავისუფლები ვართ? - ძილში ჩაესმა პეტრეს ხმა.

- არა, მამა... - ჩაილაპარაკა თავისთვის - მაგრამ სწორად მივდივართ.

ავტორი: მირიან რჩეულიშვილი